

ო ა

გაზაფხულის მოციქულო,
პირლამაზო ჩემო ია,
ნამის სატრფოვ, სიყვარულო,
თვალ-ჟუჟუნა პაწაწია;

რათ მოგწყვიტეს, მოგაშორეს
შენს სამშობლოს გულ-მოქარგულს,
ძამა რისთვის მოახვიეს.
კოკორ-გაშლილს შენს სიყვარულს?
"ეჰ, ნუ მკითხავ...ნემიპასუხა
მე სტუმარმა უცაბედმა,
ის ჩემს ციხის ფანჯარაზე
მოწიწებით დადვა მტრედმა;

"ეჰ, ნუ მკითხავ, ჰკითხე ბორკილს,
შენს ხელეზე გაბმულ ჯაჭვსა,
ჰკითხე კლიტესემენს კისერზე
და ცხოვრების ქარიშხალსა;

დიახ, ჰკითხე... ნმაგრამ იას
შეეცვალა უცებ ფერი
და ფანჯარის რკინის ჩარჩოს
ზედ დააკვდა მშვენიერი.

1910 წ.